# სუბჰანალლაჰ! მორწმუნე არ ბინძურდება

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «ერთხელ, დიდ გაუწმინდურებულ მდგომარეობაში ვიყავი, და მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მედინას გზებზე შევხვდი, მე ჩუმად გავერიდე, წავედი და განბანვა (ღუსლი) შევასრულე, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შემომხედა და როცა დავბრუნდი, მკითხა: «სად იყავი, ო, აბუ ჰურაირა?» ვუპასუხე: ო, ალლაჰის მოციქულო! მე შენ შეგხვდი, მაგრამ ჯუნუბი ვიყავი, და არ მინდოდა შენთან ყოფნა მანამ, სანამ არ განვიბანებოდი. მაშინ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სუბჰანალლაჰ! მორწმუნე არ ბინძურდება»

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მედინის ერთ-ერთ გზაზე აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შეხვდა, რომელიც იმ დროს დიდი უწმინდურობის მდგომარეობაში იყო. მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დიდი პატივისცემის გამო, მას არ სურდა ამ მდგომარეობაში მასთან ჯდომა და საუბარი, რადგან ფიქრობდა, რომ დაუბანელი იყო, ამიტომ, ჩუმად გაეცალა, განიბანა (ღუსლი შეასრულა) და შემდეგ დაბრუნდა, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდოა მას) ჰკითხა: სად წახვედი? მაშინ (აბუ ჰურაირამ) აცნობა მას (მოციქულს) თავისი მდგომარეობის შესახებ და უთხრა, რომ არ ისურვა მის გვერდით ყოფნა, რადგან დიდი უწმინდურობის მდგომარეობაში იყო, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაკვირვებით უთხრა მას: მორწმუნე ყოველთვის სუფთაა და არ ხდება უწმინდური – არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3076